

## ძველი აღთქმის

## არაკანონიკური წიგნების ქართული ვერსიები\*

ბიბლიის ძველ აღთქმაში გამოყოფენ კანონიკურ და არაკანონიკურ, მეორენაირად კანონიკურ და აპოკრიფულ წიგნებს.

ძველი აღთქმის კანონიკური წიგნებია: 1. დაბადება, 2. გამოსვლათა, 3. ლევიტელთა, 4. რიცხვთა, 5. II შჯულთა, 6. ისუ ნავესი, 7. მსაჯულთა რუთითურთ, 8. I და II მეფეთა, 9. III და IV მეფეთა, 10. I და II ნეშტთა, 11. ეზრა და ნეემია, 12. ესთერი, 13. იობი, 14. ფსალმუნი, 15. იგავნი სოლომონისნი, 16. ეკლესიასტე, 17. ქება ქებათა, 18. ესაია, 19. იერემია გოდებით, 20. ეზეკიელი, 21. დანიელი, 22. თორმეტი მცირე წინასწარმეტყველი.<sup>1</sup>

ეს ის წიგნებია, რომლებსაც ებრაელი ხალხი ქმნიდა თითქმის მთელი ათი საუკუნის მანძილზე, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეებიდან ძველივე წელთაღრიცხვის II საუკუნემდე.<sup>2</sup> ამ წიგნებში ასახულია ებრაელი ხალხის ისტორია, იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება, მათი მსოფლმხედველობა, რელიგიური მრწამსი, მათი ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებები.

ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებად ითვლება: 1. I ეზრა /წიგნი ეზრა ზორობაბელისი/, 2. ტობი, 3. ივდითი, 4. სოლომონის სიბრძნე, 5. ისუ-ზირაქის სიბრძნე, 6. ბარუქი, 7. იერემიას ეპისტოლე, 8. III ეზრა /ეზრას აპოკალიფსისი/, 9. I მაკაბელთა, 10. II მაკაბელთა, 11. III მაკაბელთა.

ძველ აღთქმაში არაკანონიკურად მიიჩნევა აგრეთვე კანონიკური წიგნების გარკვეული ნაწილები:

1. ნეშტთას II წიგნში – მანასეს ლოცვა /ერთვის ბოლოში, XXXVI თავის 23-ე მუხლის შემდეგ/.

2. ესთერის წიგნში – ადგილები, რომლებიც ბერძნულ სეპტანტაში დაუმუხლავია /I<sub>1</sub>, III<sub>13</sub>, IV<sub>17</sub>, V<sub>1</sub>, VIII<sub>12</sub>, X<sub>3</sub>; ლათინურ ვულგატაში ეს ადგილები ესთერის წიგნის XI-XVI თავებადაა განაწილებული/.

\* ქურციკიძე ციიალა, ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები, წიგნი II, თბ., 1973. გვ. 8-31 (შესავალი).

<sup>1</sup> ძველი აღთქმის კანონიკური წიგნი სინამდვილეში ოცდაორი კი არა ოცდათვრამეტია, მაგრამ ძველმა ებრაელებმა იმ მიზნით, რომ ამ წიგნების რაოდენობა მათ ანბანში შემავალი ასოების რაოდენობასთან გაეთანაბრებინათ, ხელოვნურად გააერთიანეს ზოგიერთი წიგნი ერთ წიგნად: მსაჯულთა და რუთი, I და II მეფეთა, III და IV მეფეთა, I და II ნეშტთა, ეზრა და ნეემია და 12 მცირე წინასწარმეტყველის სახელით ცნობილი (ოსია, იოელი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია) წიგნები. ძველი აღთქმის წიგნების ებრაული ანბანის მიხედვით ოცდაორად გაერთიანების შესახებ ცნობები ძველი მწერლობის ძეგლებშივეა დაცული: „ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ოცდაორ არიან წიგნი ძეგლისა აღთქუმისანი, რიცხვსაებრ ებრაელთა ანბნისა ასოთავსა, რამეთუ ანბანიცა მათი ასომ არს“ (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A-24, 125v). „არიან უკუე ძუელისა ვიდრემე აღთქუმისა წიგნი ყოველნი რიცხვთ ოცდაორ, რამეთუ ესოდენნივე არიან, ვითარცა მესმა, ასონიცა ებრაულისა ანბნისანი“ (დიდი სჯულის კანონი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A-76, გვ. 197). შდრ. აგრეთვე: А. П. Лопухин, Толковая Библия или комментарий на все книги святого писания Ветхого и Нового завета, под редакцией А. П. Лопухина, I том, Петербург, 1904, გვ. VI.

<sup>2</sup> И. Д. Амусин, Тексты Кумрана, выпуск I. Перевод с древнееврейского и арамейского, введение и комментарий И. Д. Амусина, Москва, 1971, გვ. 40.

3. ფსალმუნთა წიგნში – ბოლო, 151-ე ფსალმუნი.
  4. იობის წიგნში – XLII თავის ბოლო მე-17 მუხლი.
  5. დანიელის წიგნში – სამი ყრმის გალობა (III თავის 24-90 მუხლები), სუსანას თავგადასავალი (XIII თავი) და ბელისა და ვეშაპის შესახებ (XIV თავი).<sup>3</sup>
- არაკანონიკური წიგნების წარმოშობისა და გავრცელების ისტორია მთლად ნათელი არ არის: „ჩვენ ისიც არ ვიცით, – წერს ერთ-ერთი ბიბლიოლოგი – რა ნიშნების მიხედვით ასხვავებდნენ ძველ აღთქმაში კანონიკურ წიგნებს არაკანონიკურთაგან“.<sup>4</sup>

არაკანონიკური წიგნები ებრაული ბიბლიის შედგენილობაში არ ჩანდა, გარდა ამისა, ებრაულ ენაზე მათი არსებობის შესახებ არავითარ ცნობას არ იძლეოდა იოსებ ფლავიოსი;<sup>5</sup> მეორე მხრივ, არაკანონიკური წიგნებისა და კანონიკური წიგნების ზემოხსენებული არაკანონიკური დანართების არსებობა ბერძნულ სეპტანტაში ფაქტი იყო, ამავე დროს არაკანონიკური წიგნების უმეტესობის მიმართ // ეზრა, ბარუქი, იერემიას ეპისტოლე, ზირაქის სიბრძნე, 151-ე ფსალმუნი/ მკვლევრები უეჭველ დასკვნებს აკეთებდნენ მათი ებრაული წარმოშობის შესახებ.<sup>6</sup>

ბიბლიოლოგიაში დღეისათვის დაკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ ბიბლიის არაკანონიკური წიგნები და დანართები წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბოლო ოთხი საუკუნის განმავლობაში, როდესაც ებრაული ბიბლიის /ძველი აღთქმის/ კანონი უკვე დასრულებული იყო. ამიტომ ჩაითვალა ეს წიგნები არაკანონიკურად და არ შევიდა ებრაული ბიბლიის შედგენილობაში.<sup>7</sup>

კანონიკურ წიგნთაგან არაკანონიკურების გამოყოფას მხოლოდ ამ უკანასკნელთა გვიანდელი წარმოშობა არ უნდა განსაზღვრავდეს: „ის ფაქტი, რომ არაკანონიკური წიგნები ცალკე, დამოუკიდებლად შეიქმნა, იმას მოწმობს, რომ ისტორიულად მათ მნიშვნელობაც დამოუკიდებელი უნდა ჰქონდათ“.<sup>8</sup>

<sup>3</sup> შდრ. Г. П. Смирнов-Платонов, Неканонические книги Ветхово завета: Православное обозрение, том 9, Москва, 1862, гл. 2; А. П. Лопухин, Толковая Библия, или комментарий... гл. XIII; П. Юнгеров, частное историко-критическое введение в священные ветхозаветные книги, выпуск первый, книги законоположительные, исторические и учительные, Казань, 1907, гл. 165; The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament in English with Introductions and Critical and Explanatory Notes to the several Books, ed. in Conjunction with many Scholors by R. N. Charles. D. Litt., D. D., Volume I, Apocrypha, Oxford, 1965, гл. VII; O. Eissfeldt, Einleitung in das Alte Testamont, Tülingen, 1964, гл. 776.

<sup>4</sup> Ф. Вигуру, Руководство к чтению и изучению Библии, перевод с последнего /12-го/ Французского издания с дополнительными примечаниями и указателями русской библейской литературы, СПБ, В. В. Воронцова, Москва, 1916, гл. 46.

<sup>5</sup> იოსებ ფლავიოსი I საუკუნის /ახ. წელთაღრიცხვით/ მოღვაწეა. იგი პირველი ავტორია, რომელსაც მოცემული აქვს სრული სია ძველი აღთქმის წიგნებისა ებრაულ ენაზე. ამ სიაში მხოლოდ კანონიკური წიგნებია დასახელებული. შდრ. Ф. Вигуру, დასახ. ნაშრომი, гл. 49-50.

<sup>6</sup> ეს დასკვნები ზოგიერთი ტექსტის მიმართ გაამართლა კიდეც კუმრანის ცნობილმა აღმოჩენებმა. კუმრანში ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნთაგან ნაპოვნია ტობის წიგნის არამეული და ებრაული ფრაგმენტები, იერემიას ეპისტოლის ბერძნული თარგმანის ფრაგმენტი, ზირაქის სიბრძნის სირიული ტექსტის რამდენიმე ნაწყვეტი და ფსალმუნთა წიგნის 151-ე ფსალმუნი ებრაულად. შდრ. И. Д. Амусин, Тексты Кумрана... гл. 128-130.

<sup>7</sup> Г. П. Смирнов-Платонов, Неканонические книги Ветхого завета... гл. 2; А. И. Сперанский, Краткий исторический очерк судьбы неканонических книг Ветхого завета: Христианское чтение, 1881, ч. 2-я, гл. 392.

<sup>8</sup> Г. П. Смирнов-Платонов, დასახ. ნაშრომი, гл. 7.

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აფასებდნენ არაკანონიკურ წიგნებს იმ დროს, როდესაც ისინი იქმნებოდა, საინტერესოა ერთი ადგილი ეზრას აპოკალიფსისიდან. წიგნის ბოლოს /მოკლე რედაქციით XII, ხოლო ვრცელით XIV თავში/ მოთხოვილია შემდეგი: ეზრას გამოეცხადა უფალი და უბრძანა წასულიყო ველად და თან წაეყვანა ხუთი კაცი ორმოცი დღით. ეზრა ასეც მოიქცა. მეორე დღეს უფალმა „უწოდა“ ეზრას და უთხრა, რომ გაელო პირი და შესვა სასმელი. ეზრამ შესვა სასმელი, რომელიც წყალს ჰგავდა, ხოლო ფერი ცეცხლის ჰქონდა. ამ სასმელის მიღების შემდეგ ეზრას გულიდან „გამოსცენდებოდა მეცნიერებაა“, მის მკერდს „განეფინებოდა სიბრძნე“ და ეზრამ დაიწყო თხრობა: „აღელო პირი ჩემი და არღარა დაიყო“. ხუთი კაცი წერდა მის მონათხრობს ორმოცი დღის განმავლობაში:

„და დავწერე ორმეოცსა მას დღესა წიგნები ესე ოთხმეოცდაათოთხმეტნი.

„და იყო ოდეს აღესრულნეს ორმეოცნი იგი დღენი, მეტყოდა მე მაღალი და მრექუა:

„ოცდაოთხი, რომელი პირველად დასწერეთ, განცხადებულად დასდვათ და უკითხეთ იგი ღირსთა,

„ხოლო სამეოცდაათი დაპმარხოთ, რათა მისცე იგი ბრძენთა ერისა შენისათა,

„რამეთუ მას შინა არს ცეცხლი გონებისაა და წყარომ სიბრძნისაა და მდინარშ მეცნიერებისაა“, XII, 44-48.

„მაღალის“ ანუ უფლის ბრძანების თანახმად პირველი ოცდაოთხი წიგნი „განცხადებულად“ უნდა დაიდვას და უნდა წაუკითხონ ყველას, ვინც ღირსი იქნება, დანარჩენი სამოცდაათი კი ფარულად უნდა იქონიონ („დაპმარხოთ“) და მისცენ მხოლოდ ბრძენ ადამიანებს.

აქ დასახელებულ 24 წიგნში ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებს ხედავენ, ხოლო 70 წიგნში – ძველი აღთქმისავე არაკანონიკურ წიგნებს.<sup>9</sup> თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებს თავის დროზე კანონიკურებთან შედარებით ნაკლები ღირებულება არ ჰქონიათ: „რამეთუ მას შინა არს ცეცხლი გონებისაა და წყარომ სიბრძნისაა და მდინარშ მეცნიერებისაა“. თუმცა, შესაძლოა, აქ ავტორი საკუთარ თვალსაზრისსაც გვაწვდიდეს (ის ხომ თვითონ წერს არაკანონიკურ წიგნს).

რაც შეეხება საკითხს, სად და როდის შევიდა არაკანონიკური წიგნები ბიბლიის შემადგენლობაში, თვლიან, რომ ეს წიგნები თავდაპირველად სეპტანტიის მთარგმნელებმა თარგმნეს კანონიკურ წიგნებთან ერთად და შეიტანეს ბერძნულ ბიბლიაში, შემდეგ კი მათ დაემატა სხვა არაკანონიკური წიგნები, რომლებიც უფრო მოგვიანებით უკვე ბერძნულად დაიწერა.<sup>10</sup>

როგორც ცნობილია, ძველი აღთქმის ქრისტიანულ კანონს საფუძვლად დაედო ბიბლიის სეპტანტიისეული თარგმანი. ქრისტიანულმა ეკლესიამ ეს თარგმანი მიიღო სრული შედგენილობით (კანონიკურით და არაკანონიკურით), ამავე შედგენილობით ითარგმნა იგი შემდეგ სხვა ენებზე და შევიდა ყველა ძველი ეკლესიის საღმრთისმსახურო პრაქტიკაში.<sup>11</sup>

<sup>9</sup> შდრ. The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament... გვ. VIII.

<sup>10</sup> 10. Г. П. Смирнов-Платонов, Неканонические книги Ветхого завета... გვ. 11.

<sup>11</sup> 11. იქვე.

ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება არაკანონიკური წიგნების მიმართ სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. ამ დამოკიდებულებაში რეფორმაციის პერიოდამდე (XVI საუკუნე) განარჩევენ სამ მომენტს:

1. ადრინდელი საუკუნეების (IV საუკუნემდე) ეკლესიის წმიდა მამები ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებს იხსენიებდნენ როგორც „წერილს“ ან „საღმრთო წერილს“, აკეთებდნენ მათგან ციტირებას და კანონიკური წიგნებისაგან თითქმის არ გამიჯნავდნენ.<sup>12</sup>

2. IV საუკუნის ბოლოსა და V-ის დამდეგს ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები საბოლოოდ გამოიყო ებრაული „კანონის“ წმიდა წიგნებისაგან – ილარიონის, რუფინუსისა და იერონიმეს ეგზეგეტიკური თხზულებების შემდეგ. ეს წმიდა მამები დაკავშირებული იყვნენ პალესტინასთან და კარგად იცნობდნენ ძველ ებრაულ „კანონს“ (ცნობილია, რომ იერონიმემ ძველი აღთქმა ლათინურ ენაზე უშუალოდ ებრაულიდან თარგმნა). ყველა წიგნი, რომელიც ძველ ებრაულ კანონში არ შედიოდა, მათ აპოკრიფულად გამოაცხადეს.

3. მესამე თვალსაზრისი, რომელიც იმავე IV საუკუნის ბოლოსვე შემუშავდა ქრისტიანულ ეკლესიაში, პირველი ორის მორიგებას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისის მიხედვით არაკანონიკური წიგნების გამოყენება სარწმუნოების დოგმატების დასაბუთებისათვის კი აიკრძალა, მაგრამ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მათი კითხვა ღმრთისმსახურების დროს ეკლესიაში. აქედან წარმოდგა ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების სახელწოდებაც – საეკლესიონი. ამ თვალსაზრისის მიმდევრებმა ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები გამიჯნეს საკუთრივ აპოკრიფებისგანაც, რომლებშიც მხოლოდ ერეტიკული ნაწარმოებები იგულისხმებოდა.<sup>13</sup>

კანონიკური, არაკანონიკური და აპოკრიფული (=ერეტიკული) წიგნების მიმართ ბოლო (მესამე) თვალსაზრისის მომხრეთა დამოკიდებულების საჩვენებლად აღსანიშნავია ერთი ადგილი საეკლესიო კანონთა კრებულიდან, ე. წ. დიდი სჯულისკანონიდან. ათანასეს ეპისტოლეში ამმონის მიმართ დახასიათებულია ძველი მწერლობის სამივე ეს დარგი. ეპისტოლის ქართული თარგმანის მიხედვით კანონიკურ, არაკანონიკურ და აპოკრიფულ წიგნებს შესაბამისად ჰქვიათ: განკანონებული, არაგანკანონებული//განუკანონებული და დაფარული.

ეპისტოლეში ჯერ ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის განკანონებული (კანონიკური) წიგნები, შემდეგ კი მოცემულია მათი დახასიათება: „არიან (ეს წიგნები – ც. ქ.) წყარონი ცხორებისანი, ვიდრემდის მაგრილობელ ექმნებიან წყურიელთა ამათშინანი სიტყუანი. მხოლოდ ამათ ოდენ შინა ეკმარების კეთილად მსახურებისა მოძღვრებათ. ნუმცა რათ ვისგან შეემატების ამათ, ნუცა კუალად გამო-რამე-ეკუების ამათ“.

შემდეგ მსჯელობა გრძელდება არაგანკანონებული (არაკანონიკური) და დაფარული (აპოკრიფული) წიგნების შესახებ: „არამედ უმეტესისა უცთომელობისათვის საჭიროდ ვსაჯე ამისიცა შეძინებათ, ვითარმედ არიან სხუანიცა წიგნი თვითი ამათსა არაგანკანონებული უკუე, ხოლო დაწერილნივე“

<sup>12</sup> 12. იქვე, გვ. 16; A. И. Сперанский, Краткий исторический очерк судьбы неканонических книг Ветхого завета... გვ. 396; R. H. Charles, The Apocrypha and Pseudepigrapha... გვ. IX.

<sup>13</sup> 13. აღნიშნული სამი მომენტის შესახებ იხ. The Apocrypha and Pseudepigrapha... გვ. IX.

მამათა მიერ საკითხავად მათთვის, რომელი ან ლა მოუკდებოდინ და ენებოს დამოწმაფებად კეთილად მსახურებისა სიტყვაშა: სიბრძნე სოლომონისი და სიბრძნე ზირაქისი და ესთერი და იუდითი და ტოვისი... არამედ, საყუარელნო, არცა ამათ განკანონებულთა და არცა მათ განუკანონებელთა საკითხავთა შორის იპოების საქსენებელი დაფარულთამ, არამედ იგინი მწვალებელთანი არიან მოპოვნებულნი, რომელი წერენ უკუე, მათ ოდესცა ენებოს. ხოლო მისცემენ და შეჰმატებენ, მათ უამთა რაოდენიცა სთნდენ, რათა ვითარცა ძუელთა რათმე სარწმუნო ჰყოფდენ მათ და მიზეზად აქუნდეს ესე მათ მიერ ცთუნებისა წრფელთავსა“.<sup>14</sup>

ეპისტოლის მიხედვით, „განკანონებული“ წიგნები ცხოვრების წყაროს წარმოადგენენ და შეიცავენ მოძღვრებას კეთილად მსახურების შესახებ, „არაგანკანონებული“ წიგნები კი დაწერილია „მამათა“ მიერ საკითხავად მათთვის, რომელთაც სურთ დაემოწაფონ კეთილად მსახურების სიტყვას. არც „განკანონებული“ და არც „განუკანონებელი“ წიგნები „დაფარულს“ არაფერს შეიცავენ. „დაფარული“ წიგნები მწვალებელთა მიერაა შექმნილი. ისინი წერენ, „ოდესცა ენებოს“, წერენ ისე, თითქოს ძველი ნაწარმოებები იყოს და აცთუნებენ წრფელ ადამიანებს.

რეფორმაციის დროიდან დასავლეთის ეკლესიაში ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების შეფასებასთან დაკავშირებით მთელი რიგი ცვლილებები ხდება.

**1521-1534** წლებში მარტინ ლუთერმა გერმანულ ენაზე თარგმნა ბიბლია. ამ თარგმანში მან კანონიკურ წიგნებთან ერთად არაკანონიკურებიც მოათავსა (II და III ეზრასა და III მაკაბელთას გამოკლებით), მხოლოდ მან ეს წიგნები მიიჩნია ისეთ წიგნებად, რომლებიც, მართალია, „წმიდა წერილს“ ვერ გაუტოლდებიან თავისი მნიშვნელობით, მაგრამ სასარგებლონი არიან ეკლესიაში, სკოლასა და სახლში საკითხავად.

ლუთერის თარგმანში არსებული სურათი პროტესტანტების შემდეგდროინდელ გამოცემებშიც მეორდებოდა.

პროტესტანტების საწინააღმდეგოდ კათოლიკებმა არაკანონიკური წიგნები ებრაული კანონის შემადგენელ ნაწილად მიიჩნიეს: ტრიდენტის საეკლესიო კრებამ (1546 წ.) თავის დადგენილებაში ანათემა შეუთვალა იმათ, ვინც წმიდად და კანონიკურად არ მიიჩნევდა მთელ „წმიდა წერილს“ სრული შედგენილობით. ამ კრებამ ძველი აღთქმის ყველა წიგნი (II და III ეზრას, III მაკაბელთასა და მანასეს ლოცვის გამოკლებით) კანონიკურად გამოაცხადა.

ტრიდენტის კრების დადგენილების გავლენით **1672** წლის იერუსალიმის საეკლესიო კრებამ ებრაული კანონის ძირითად ნაწილად მიიჩნია შემდეგი არაკანონიკური წიგნები: სოლომონის სიბრძნე, ივდითი, ტობია, ზირაქის სიბრძნე, მაკაბელთა წიგნები, სუსანას თავგადასავალი, მოთხოვნა ბელისა და ვეშაპის შესახებ.<sup>15</sup>

პროტესტანტებმა, რომლებიც თავიდან არაკანონიკური წიგნების დამცველად გამოდიოდნენ, შემდეგ უკვე საწინააღმდეგო ტენდენცია განავითარეს – არაკანო-

<sup>14</sup> 14. A-76, 197r–198v.

<sup>15</sup> 15. ზოგიერთი კათოლიკე სწავლული ცდილობდა ტრიდენტის კრების დადგენილები მოერიგებინა ძველ, მსოფლიო ეკლესიის განსაზღვრასთან, ასე გაჩნდა სახელწოდებები: პროტოკანონიკური – კანონიკური წიგნებისათვის, დევტეროკანონიკური – არაკანონიკურთათვის.

ნიკური წიგნები აპოკრიფებად გამოაცხადეს და „კანონში“ მათი შეტანა დაუშვებლად მიიჩნიეს.

XIX საუკუნის დამდეგს არაკანონიკური წიგნების მიმართ პროტესტანტებმა უკვე სერიოზული ბრძოლა გააჩაღეს. ამ ბრძოლამ იმდენად პრინციპული ხასიათი მიიღო, რომ ანგლო-შოტლანდიურმა ბიბლიურმა საზოგადოებამ აშკარა პროტესტი გამოაცხადა არაკანონიკურ წიგნებდართული ბიბლიის ბეჭდვასა და გავრცელებაზე. ამ საზოგადოების თვალსაზრისმა შემდეგში გერმანიაშიც მოიკიდა ფეხი. 1850 წლიდან არაკანონიკური წიგნების წინააღმდეგ ჩნდება მეცნიერული შრომები, ორი ასეთი შრომა საგანგებო პრემიითაც აღინიშნა.<sup>16</sup>

რაც შეეხება ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების მიმართ აღმოსავლური ანუ მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას, შეხედულებათა ბრძოლასა და ცვლას აქ ადგილი არ ჰქონია. აღმოსავლური ეკლესია თავიდან ბოლომდე იზიარებდა იმ თვალსაზრისს, რომელიც, მართალია, ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებს მნიშვნელობით კანონიკურებთან არ ათანაბრებს, მაგრამ არც გამორიცხავს მათ ბიბლიიდან, რადგან მიიჩნევს დამრიგებლობითი ხასიათის, სულისათვის სასარგებლო ნაწარმოებებად.<sup>17</sup>

ქართული ეკლესია, როგორც აღმოსავლური ეკლესიის პირმშო და მისი ნაწილი, არაკანონიკური წიგნების შეფასებაშიც ძველთაგანვე ამ უკანასკნელის თვალსაზრისზე უნდა მდგარიყო.

ძველ ქართულ მწერლობაში დაცულია ზოგიერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ქართული ეკლესია და ქართველი საეკლესიო მოღვაწეები კარგად იცნობდნენ ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებს და სათანადოდაც აფასებდნენ მათ.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ავტორი გიორგი მერჩულე ერთგან გრიგოლის გასაოცარ მეხსიერებაზე მოგვითხრობს და წერს: „განსაკურვებელ იყო ქსოვნებად მისი; რამეთუ ან არს ხანცთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდომ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან. ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნი ზეპირით იცნოდნა და მრავალნი წიგნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი, წმიდათა მოძღუართა თქუმულნი, აღურაცხელნი წარმოითქმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა უმეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა“.<sup>18</sup>

აქ „ახალი“ და „ძუელი შჯული“ ახალსა და ძველ აღთქმას გულისხმობს, ხოლო „დაბეჭდულნი“ და „დაუბეჭდველნი წიგნი“ კანონიკური და არაკანონიკური წიგნების ძველი ქართული სახელწოდება ჩანს. ავტორი რატომდაც გრიგოლის მიერ სწორედ არაკანონიკური წიგნების ზეპირად ცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას: „არამედ დაუბეჭდველნი, წმიდათა მოძღუართა თქუმულნი, აღურაცხელნი წარმოითქმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა“.<sup>19</sup>

X საუკუნის ერთ-ერთ სინურ ხელნაწერში ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები. ძველი აღთქმის კანონიკური წიგნების სიას სა-

<sup>16</sup> 16. ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით იხ. A. I. Сперанский, Краткий исторический очерк судьбы неканонических книг Ветхого завета... гл. 394-401.

<sup>17</sup> 17. იქვე, гл. 401.

<sup>18</sup> 18. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), თბ., 1964, გვ. 282.

<sup>19</sup> 19. შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 398.

თაურად უძლვის „წიგნი(I) ბეჭდული ძუელისა შჯულისანი“ და დალაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით:

დაბადება, რლ არს შპათთა შობათა ც. ქ.)  
გამოსლვათა  
ლევიტელთა  
რიცხუთა  
მეორშ შჯული  
ისუ ნავში  
მსაჯულთა  
რუთისი  
მეფეთა ა, მეფეთ ბ, მეფეთ გ, მეფეთ დ  
ნეშტთა ა, ნეშტთ ბ  
ეზრა ა, ეზრა ბ  
დანიელისი და ესთერ-მარდოკე  
ფსალმონთა  
იგავთა და მრავალმასწავლელისა  
ზირაქის წიგნი  
ეკლესიასტშ და ქება ქებათა  
ათორმეტთა წინაწარმეტყუელთა  
ესაია  
იერემია  
ბაროქ და გოდებანი  
ეზეკიელი  
იობი.<sup>20</sup>

ამ სიაში, გარდა იმისა, რომ ტრადიციული რიგი ძველი აღთქმის წიგნების დალაგებისა ოდნავ არეულია („დანიელი“ და „იობი“ თავთავის ადგილას არ ზის), კანონიკურ წიგნებში არაკანონიკურებიცაა შეტანილი: ზირაქის სიბრძნე („მრავალმასწავლელისა ზირაქის წიგნი“) და ბარუქი („ბაროქი“).<sup>21</sup>

რატომ მოათავსეს არაკანონიკური წიგნები კანონიკურებში? შესაძლოა ორგვარი ვარაუდის დაშვება: ან უნებურ შეცდომასთან გვაქვს საქმე – ღმრთისმსახურებაში არაკანონიკური წიგნების გამოყენების გამო მათ გამიჯნვას კანონიკური წიგნებისაგან ალბათ ყოველთვის ვერ ახერხებდნენ; ანდა აღნიშნული წიგნები კანონიკურთა რიგში შეტანილია სრულიად შეგნებულად: იყო ისეთი ტენდენციაც, რომ „ზირაქის წიგნი“ კანონიკურად ეცნოთ,<sup>22</sup> ხოლო „ბარუქი“ „იერემიას წინასწარმეტყველების“ შემადგენელ ნაწილად მიეჩნიათ.<sup>23</sup>

<sup>20</sup> 20. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი №34, გვ. 203. ხელნაწერში თითოეული წიგნის დასახელებასთან მინერილია მისი მუხლების რაოდენობა ძველი სათვალავით (სტიქომეტრით), მათი აქ ჩამონერა მიზანშენონილად არ ვცანით. ეს სია გამოქვეყნებული აქვს კ. კეკელიძეს. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 398.

<sup>21</sup> 21. კიდეზე ნუსხურით კიდევ ორი არაკანონიკური წიგნის დასახელებაა ჩამატებული: ივდითი, ტობი.

<sup>22</sup> 22. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ XII საუკუნის ცნობილ კრებულში – ხელნაწერთა ინსტიტუტის A-65 ხელნაწერში – ძველი აღთქმის კანონიკური წიგნების რიგში „ზირაქის სიბრძნე-ცაა“ დასახელებული: „ძუელისა შჯულისა წიგნი: შობათა, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხუ-

ძველი აღთქმის არავანონიკური წიგნების მიმართ ქართული სასულიერო მშერლობის წარმომადგენელთა დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა აგერთვე ეფრემ მცირის ცნობილი კომენტარი, რომელიც იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ტექსტს ერთვის ხელნაწერთა ინსტიტუტის A-24 ხელნაწერში და რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვაქვეყნეთ.<sup>24</sup>

როგორც აღვნიშნავდით, იოანე დამასკელი „გარდამოცემაში“ ჩამოთვლის ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებს, რომელთა რაოდენობაც ებრაული ანბანის შესაბამისად 22-ს შეადგენს, და 21-ედ ასახელებს ეზრას წიგნებს (=კანონიკური ეზრა და ნეემია), 22-ედ კი – ესთერის წიგნს. შემდეგ იგი ყურადღებას მიგვაქცევინებს სოლომონისა და ისუ-ზირაქის სიბრძნეთა წიგნებზე, რომლებიც მიუხედავად მათი დიდი ღირსებისა („სათნო უკუე არიან და კეთილ“), ებრაულ კანონში შეტანილი მაინც არ არიან.<sup>25</sup>

კომენტარის ტექსტს აქაც გავიმეორებთ: „რამეთუ რაჟამს ეზრამ პირველი და მეორე გესმნენ, უწყოდი, ვითარმედ მისვე ერთისა ეზრა ზორობაბელის წიგნთა იტყვს. პირველად და მეორედ – პირველსა და მეორესა თავსა. ხოლო სხუამ იგი ეზრამ სუთიელი, რომელ ქართულად არს, არავისგან აღრაცხილ არს წიგნთა თანა და არცა საჩინოდ იპოების ბერძნენთა თანა, ვინამცა ნუუკუშ დაფარულთაგანი რამე არს და არა საეკლესიო, ამისთვისცა მრავალთა წმიდათა ესრე სახედვე აღურიცხოვან წიგნი და არცა ერთი აქსენტს სახელსა მისსა. ხოლო ტუბისი დაღაცათუ აქა არა მოქსენებულ არს, არამედ სხუანი მოიქსენებენცა და აღმრიცხოვენ არა ოცდაორთა თანა, არამედ სტიქარონ უწოდენ რეცა კიდეგნად რიცხვსაგან, ვითარიგი სიბრძნეთაცა სოლომონისსა და ზირაქისსა“.

ამ კომენტარიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ტერმინები „დაფარული“ („დაფარულთაგანი“) და „საეკლესიო“. პირველი ნახმარია საკუთრივ აპოკრიფული ანუ ერეტიკული ლიტერატურის აღსანიშნავად, მეორე კი – ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნებისათვის.<sup>26</sup>

ეფრემ მცირის აზრით, ეზრა სუთიელის წიგნი რომ არც „წიგნთა თანა“ (ბიბლიის წიგნებში – ც. ქ.) არის აღრიცხული და ბერძნულ ენაზეც არ ჩანს, ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ იგი ერეტიკულ წიგნად ყოფილიყო მიჩნეული („ნუუკუშ დაფარულთაგანი რამე არს და არა საეკლესიო“). ამიტომაა ალბათ, რომ მრავალი წმიდა მამა აღრიცხავს ძველი აღთქმის წიგნებს და მის სახელს კი არავინ ახსენებს. რაც შეეხება ტობის წიგნს („ტუბისი“), თუმცა აქ, „გარდამოცემაში“, მოხსენებული არ არის, მაგრამ

---

თამ, მეორისა შჯულისამ, ისო ნავესი, მსაჯულთამ ა, რუთისი ა, მეფეთამ დ, ნეშტამ ბ, ეზრამსი ბ, ესთერისი ა, ფსალმუნთამ ა, სოლომონისი გ, წინაწარმეტყუელთამ იბ, ისაიამსი ა, იერემიამსი ა, ეზეკიელისი ა, დანიელისი ა, იობისი ა, ზირაქის სიბრძნე“ (გვ. 175). ხელნაწერზე მიგვითითა მ. ქავთარიამ.

<sup>23</sup> 23. ბარუქის წიგნის იერემიას წინასწარმეტყველების წიგნთან დამოკიდებულების შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 237-238.

<sup>24</sup> 24. ც. ქურციკიძე, ეზრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძებანი, I, თბ., 1971, გვ. 102. ეს კომენტარი უფრო ადრე გამოქვეყნებული აქვს რ. მიმინოშვილს წიგნში „იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები“, თბ., 1996, გვ. 134.

<sup>25</sup> 25. ც. ქურციკიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 102.

<sup>26</sup> 26. ზემოთ დასახელებულ ჩვენს წერილში („ეზრას აპოკალიფსის ქართული რედაქციები“) კომენტარის შინაარსის გახსნას სიზუსტე აკლია. შდრ. იქვე, გვ. 103.

სხვები მოიხსენებენ და აღრიცხავენ, მხოლოდ ოცდაორ წიგნში კი არა, არამედ სტიქარონს უწოდებენ და ათავსებენ ამ რიცხვის გარეთ (კიდევნად), როგორც სოლომონისა და ზირაქის სიბრძნის წიგნებს.

ძველი ქართველი საეკლესიო მოღვაწეები ბიბლიის არაკანონიკურ წიგნებს ერეტიკულ, ანუ, ძველივე ქართული სახელწოდებით, „დაფარულ“ წიგნებთან რომ არ აიგივებდნენ, ეს ჩანს აგრეთვე ექვთიმე ათონელის ერთ-ერთი წერილიდან. ეს წერილი მას გამოუგზავნია ათონიდან საქართველოში შეკითხვის პასუხად, თუ საბერძნეთის ეკლესია (მაშასადამე, ქართულიც – ც. ქ.) რომელ წიგნებს არ შეიწყნარებს. წერილში ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის მხოლოდ ისეთი თხზულებანი, რომლებიც საკუთრივ აპოკრიფულად ანუ ერეტიკულად ითვლებოდა.<sup>27</sup> აქ ხსენებაც კი არ არის ძველი აღთქმის რომელიმე არაკანონიკური წიგნისა.<sup>28</sup>

ბიბლიის არაკანონიკური წიგნების შეფასებასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი შეინიშნა სულხან-საბა ორბელიანთან. ყურადღება მიიქცია მისი თხზულების „სამოთხის კარის“ ერთმა ადგილმა. აქ ავტორი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს ჩამოთვლის. მოძღვრის შეკითხვაზე: „რა განაწესეს მოციქულთა ანუ რჯული, ანუ სარწმუნოება?“ ყრმა უპასუხებს: „განაწესეს ძველი: დაბადების, გამოსვლათა, რიცხვთა, ლევიტელთა, მეორის სჯულისა, ისონავეს, მსაჯულთა, რუთისი, ოთხი მეფეთა, ორნი ნეშტთა, ორი ეზეკიასი,<sup>29</sup> ტობიასი, ივდითისი, ესთერისი, იობისი, ფსალმუნი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, იგავი და სიბრძნე, ისო-ზირაქის წიგნი, წინასწარმეტყველება ესაიასი, იერემიასი, ბარუქისი, ეზეკიელისი, დანიელისი, ოსესი, იოველისი, ამოსისი, აბდიასი, იონასი, მიქიასი, ნაუმისი, ამბაკუმისი, სოფონიასი, ანგიასი, ზაქარიასი, მალაქიასი და ორი მაკაბელისა წიგნი; და ახლის აღთქმის წიგნი: წმიდა სახარება და სამოციქულო და იოანეს გამოცხადება. ეს არს რჯული და სარწმუნოება“.<sup>30</sup>

ძველი აღთქმის წიგნებში, რომლებიც ახალ აღთქმასთან ერთად ქრისტიანობის „რჯული და სარწმუნოება“ ყოფილა, დასახელებულია არაკანონიკური წიგნებიც: ტობია, ივდითი, სიბრძნე სოლომონისი, ისო-ზირაქის წიგნი, ბარუქი, მაკაბელთა პირველი ორი წიგნი; არ ჩანს ეზრას წიგნები (ეზრა ზორობაბელისა და ეზრას აპოკალიფსისი) და III მაკაბელთა. როგორც ცნობილია, კათოლიკურმა ეკლესიამ ტრიდენტის კრების დადგენილების მიხედვით ძველი აღთქმის კანონი სწორედ

<sup>27</sup> 27. წერილი ორი რედაქციით არსებობს: პირველი გამოცემული აქვს მ. საბინინს „საქართველოს სამოთხეში“ (გვ. 432-436), მეორე, რომელიც ხელთ ჰქონია დ. ბაქრაძეს, გამოცემული აქვს თ. უორდანიას „ქრონიკების“ II წიგნში (გვ. 82-83). ორივე რედაქციის ტექსტი ერთად გამოსცა ი. დოლიძემ: ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 5-18. ამ წერილის რედაქციებისა და მისი ადრესატის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 403-407.

<sup>28</sup> 28. წერილში დასახელებული არიან ორიგენი, ევსები პამფილელი, რომლებსაც მნვალებლური ნაწარმოებები დაუწერიათ; წყეული ივლიანე, რომელსაც მოციქულთა და მოწამეთა ნამებაცხოვრებანი განურყვნია იმ მიზნით, რომ შემდეგ ყველა ნატყუარად შეერაცხათ; ჩამოთვლილია: „აბუკოროვა“, „ადამის ცხორებამ“, „სიყრმე უფლისამ“, მოციქულთა ცხოვრებანი, როგორიცაა მათე მახარებელისა, წმიდისა ანდრიამისი და სხვ.

<sup>29</sup> 29. უნდა იყოს: „ორი ეზრას“ (=კანონიკური ეზრა და ნეემია).

<sup>30</sup> 30. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო იგანე ლოლაშვილმა, თბ., 1963, გვ. 259.

ამგვარად განსაზღვრა, ე. ი. კანონში შეიტანა ზემოთ დასახელებული არაკანონიკური წიგნები – ტობია, ივდითი, სოლომონის სიბრძნე, ისო-ზირაქის წიგნი, ბარუქი, მაკაბელთა პირველი ორი წიგნი, ხოლო კანონიდან გამორიცხა და აპოკრიფულად გამოაცხადა ეზრას წიგნები და III მაკაბელთა (მანასეს ლოცვასთან ერთად). თუ გავითვალისწინებთ, რომ სულხან-საბა იმ დროისათვის რომის კათოლიკური ეკლესიისაკენ იყო მიდრეკილი,<sup>31</sup> მაშინ შემთხვევითად აღარ გამოჩნდება ის ფაქტი, რომ ძველი აღთქმის კანონის საბასეული განსაზღვრა სავსებით თანხვდება რომის კათოლიკური ეკლესიის განსაზღვრას.

ქართულ ენაზე ძველი აღთქმის ყველა არაკანონიკური წიგნი და კანონიკური წიგნების ყველა არაკანონიკური დანართია თარგმნილი. არაკანონიკური წიგნები კანონიკურებთან ერთად ქართულ ენაზედაც ბიბლიის კრებულებშია შემონახული. ესენია:

ოშკის ბიბლია: ათონის ივერიის მონასტრის №1 ხელნაწერი 978 წლისა,  
იერუსალიმის ბიბლია: იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის №7/11  
ხელნაწერი XI საუკუნისა,

გელათის ბიბლია: ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1108 ხელნაწერი XII საუკუნისა,  
ხელნაწერთა ინსტიტუტის A-570 ხელნაწერი 1460 წლისა,  
A-646 ხელნაწერი XVI საუკუნისა,  
H-885 ხელნაწერი XVII საუკუნისა,

მცხეთის ბიბლია: A-51 ხელნაწერი XVIII საუკუნის დამდეგისა,  
ბაქარის ბიბლია: ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვური გამოცემა.

ქართული ბიბლიის უძველეს ხელნაწერში – ოშკის ბიბლიაში – დაცულია ძველი აღთქმის ყველა არაკანონიკური წიგნი მაკაბელთა წიგნების გარდა.

იერუსალიმის ბიბლიაში არაკანონიკურ წიგნთაგან გვაქვს: ეზრა ზორობაბელის (I ეზრა), ეზრა სუთიელის (III ეზრა), ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის ტექსტები.

გელათის ბიბლიაში თავდაპირველად შეტანილი ყოფილი „ბარუქი“ და იერემიას ეპისტოლე, ხელნაწერის ფურცლების დაკარგვის გამო მასში მხოლოდ ბარუქის წიგნის გარკვეული ნაწილია დარჩენილი.<sup>32</sup>

A-570, A-646 და H-885 ხელნაწერებში, რომლებიც ბიბლიის ნაკლული ხელნაწერებიდან მომდინარეობენ და ამიტომ თავადაც ნაკლული არიან, დაცულია ივდითის, ტობისა და ეზრა ზორობაბელის წიგნები.

მცხეთის ბიბლიაში შესულია ივდითის, ტობის, ეზრა ზორობაბელის, ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის ტექსტები.

ბაქარის ბიბლია ბიბლიის სრული კრებულია, ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები აქ ყველაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება კანონიკური წიგნების – II ნეშტას, ესთერის, ფსალმუნის, იობის, დანიელის – არაკანონიკურ დანართებს, მათ შეიცავს ქართული ბიბლიის ყველა ის ხელნაწერი, რომელშიც ხსენებული კანონიკური წიგნებია დაცული.

<sup>31</sup> 31. ქრისტინე შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722), თბ., 1955, გვ. 172-174.

<sup>32</sup> 32. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 245-246.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები ქართულ ენაზე, მაკაბელთა წიგნების გამოკლებით, ძირითადად ორ-ორი თარგმანით არსებობს: ძველით ანუ X საუკუნემდელით და X საუკუნის შემდეგდროინდელით.

ეზრა ზორობაბელის, ივდითისა და ტობის წიგნების ძველი, X საუკუნემდელი თარგმანები, წარმოდგენილია ოშეის, იერუსალიმის, მცხეთის ბიბლიის კრებულებსა და A-570, H-885, A-646 ხელნაწერებში; ეზრა სუთიელის, ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის ძველი თარგმანები – ოშეისა და იერუსალიმის ბიბლიებში; სოლომონისა და ისო-ზირაქის სიბრძნეთა წიგნებისა კი – მხოლოდ ოშეის ბიბლიაში. მაკაბელთა წიგნების ძველი თარგმანები ქართულ ენაზე არ ჩანს. არსებობდა თუ არა ეს წიგნები ძველად ქართულად, ჩვენთვის ცნობილი არ არის.<sup>33</sup>

ძველი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიაში X საუკუნის შემდეგ კიდევ ორი ეტაპი გამოიყო:

როგორც ცნობილია, XII საუკუნეში ბერძნული სეპტანტის მიხედვით შეადგინეს ე. წ. გელათის ბიბლია. არაკანონიკურ წიგნთაგან გელათური რედაქციით ჩვენამდე მოაღწია ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის წიგნებმა.<sup>34</sup> ეს ორი წიგნი გელათური რედაქციითაა შესული მცხეთისა და ბაქარის ბიბლიის კრებულებშიც.

ბაქარის ბიბლიის ტექსტი, რომელიც 1743 წელს დაიბეჭდა, გამოსაცემად მომზადდა გაცილებით ადრე, XVIII საუკუნის დამდეგს, არჩილ მეფის ინიციატივითა და შრომით. ამ ბიბლიაში ყველა წიგნი „შეიწყო და გაიმართა“ სლავურის მიხედვით და სლავურიდანვე ითარგმნა მისი დიდი ნაწილი. ბაქარის ბიბლიაში გამოქვეყნებული ყველა არაკანონიკური წიგნი, „ბარუქისა“ და იერემიას ეპისტოლის გარდა, – ივდითი, ტობია, I და III ეზრა, სოლომონის სიბრძნე, ისო-ზირაქის სიბრძნე, მაკაბელთა სამივე წიგნი – სლავურიდანაა თარგმნილი.

არაკანონიკური წიგნების მიმართ აღმოსავლური ეკლესიის მაღალი შეფასება საეკლესიო პრაქტიკაშიც იჩენდა თავს: არაკანონიკური წიგნებიდან ზოგიერთი ადგილი შეტანილი იყო ლიტურგიკულ კრებულებში, ე. წ. ლექციონარებში, და ღმრთისმსახურების დროს ეკლესიებში კითხულობდნენ.<sup>35</sup>

ქართულ ენაზე ამგვარი ლიტურგიკული კრებულების ძველი, IX, X და XI საუკუნეებით დათარიღებული, ხელნაწერები გვაქვს – ლაგურკის ანუ კალის (IX-X სს.), ლატალის (X ს.), სინური (X ს.) და პარიზული (XI ს.). ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნებიდან საკითხავები შეტანილია სამ ლექციონარში (გამონაკლისია სინური).

<sup>33</sup> 33. შდრ. R. P. Blake, *The Athos Codex of the Georgian Old Testament*, The Harvard Theological Review, vol. XXII №1, 1929. გვ. 35.

<sup>34</sup> 34. გელათის ბიბლია ჩვენამდე ნაკლული სახითაა მოღწეული, შესაძლოა, კანონიკურ წიგნებთან ერთად მას დაკლებული და დაკარგული ჰქონდეს არაკანონიკური წიგნებიც.

<sup>35</sup> 35. Г. П. Смирнов-Платонов, Неканонические книги Ветхого завета... გვ. 21.